Воздействие человека на первобытный растительный покров распространялось как снизу вверх из равнин в горы, так и сверху вниз, в обратном направлении. Леса, начиная с предгорий, преобразуются в тот тип, который нами условно обозначается как антропогенные леса (S. Ap.), основной чертой которых являются постепенное исчезновение бука из их состава, прогрессирующая ксерофитизация, обеднение систематического состава, обогащение сорняками и последующее перерождение их в кустарниковые заросли («колючекустарниковые степи», «шибляк»). Разрушение почвенного слоя, в случае неразумной хозяйственной деятельности человека, может, в конце концов, привести к оголению склонов и постепенному переходу этого типа растительности во вторичные фитоценозы, обозначаемые нами как антропогенные нагорно-ксерофитные комплексы (X. Ap.) По сравнению с фитоценозами, в основном образованными постплиоценовыми ксерофитами, они отличаются особенностями своего флористического состава: значительным его однообразием и преобладанием видов более молодого происхождения, а также сорных форм. Влияние человека на послеледниковые степи Восточной Грузии способствовало превращению их в культурные земли—Т. С. нашей схемы, или же их дальнейшей эволюции в тип растительности, который большинством кавказских геоботаников понимается под именем полустепи или бородачевой степи. Мы обозначаем этот тип как антропогенные степи (St. Ap.). В тех случаях, когда этот тип развивается на крутых склонах с маломощным почвенным слоем и близкой каменистой подпочвой, он, обогащаясь ксерофитами, способен переходить во вторичные нагорно-ксерофитные комплексы (X. Ap.).

Наконец, современные реликты четвертичных саванн, значительно пополненные как фрагментами степной или полупустынной растительности, так и представителями нагорно-ксерофитного типа, после уничтожения древостоя, переходят или в заросли колючих кустарников (S. Ap.), или в антропогенные степи (St. Ap.), или же, в случае уничтожения почвенного слоя, даже во вторичные ксерофитные комплексы.

Воздействие человека на высокогорные фитоценозы приводит к обогащению растительности альпийских лугов вторичными фитоценозами типа *Nardetum*'ов, *Festucetum variae*, *Alchemilletum*'ов, *Sibbaldietum*'ов и т. п., а также к развитию пространств, занятых сорняками, или же образованию осыпей и скал, заселяющихся вторичными нагорно-ксерофитными группами



ровками. Это же воздействие приводит к постепенному снижению верхней лесной опушки и развитию на освободившейся площади растительности типа послелесных лугов.

Наблюдаемый нами ход эволюции главнейших фитоценозов Восточной Грузии должен служить постоянным предупреждением хозяйственнику, планирующему те или иные сельскохозяйственные мероприятия. Последние никоим образом не должны подталкивать естественные фитоценозы в сторону перерождения их в хозяйственно малоценные или даже бесполезные группировки. Необходимо или содействовать их переводу в культурные земли, или же обеспечить их такими мерами ухода, которые могли бы гарантировать им необходимые условия восстановления своего древостоя и травяного покрова. От этого зависят и повышение урожайности, и защита наших пашен, садов и виноградников от смыва, обеспечение скота необходимыми кормами и снабжение страны строевым, поделочным и топливным лесом.

Академия Наук Грузинской ССР  
Тбилисский Ботанический Институт

(Поступило в редакцию 2.2.1943)

ბოტანიკა

დ. სოსნოვსკი

## აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ფიტოცენოზთა ქრონოლოგიზაციის ცდა

რეზუმე

აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეული საფარის შემადგენელი ფიტოცენოზები სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ხნოვანებისაა. შეიძლება გავარჩიოთ ნაშთი პლიოცენური ტყეებისა (S. Pl.), რომელთა ევოლუციის შედეგად მყინვარეული ხანის დასასრულს პოსტპლიოცენური ტყეები (S. PPl.) შეიქმნა. ადამიანის ზეგავლენით ტყის ეს უკანასკნელი ტიპი ტყეზღჩქნართა განსაკუთრებული ტიპით—ანთროპოგენური ტყეებით (S. An.) შეიცვალა. სპორადულად კიდევ შერჩენილია პლიოცენურ ქსეროფიტთა (X. Pl.) რელიქტები, რომელნიც ანთროპოგენურ ქსეროფიტთა კომპლექსით (X. An.) შეიცვალა. ველები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ვიგულისხმოთ, ჯერ კიდევ მყინვარეულ ხანაში წარმოიშვა, უმთავრესად პოსტგლაციურში განვითარდა და ამიტომ შეიძლება ვუწოდოთ მათ პოსტგლაციური ველები (St. Cl.). ადამიანის ზეგავლენით ეს ველები ანთროპოგენურ ველებში გადადის (St. An.). უდაბნოები და ნახევარუდაბნოები (EQ) მთლიანად მეოთხეულს უნდა მიეკუთვნოს. არიდული მეჩხერი ტყეები (SQ) წარმოადგენს თავისებურ ტიპს, რომელიც სავანებს უახლოვდება. კომპლექსური აგებულობის გამო, მათ შეუძლიათ მოგვცენ St. An. ან X. An.. ბუნებრივ ფიტოცენოზთა უმეტესი ნაწილი კულტურულ მიწებში (T. C.) შეიძლება იყოს გადაყვანილი. ყველა ზემოდასახელებულ დამოკიდებულებათა ასახვას იძლევა თანდართული სქემა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი



Е. А. МАКАРЕВСКАЯ

## ВОЗРАСТНОЕ ИЗМЕНЕНИЕ ВОДОУДЕРЖИВАЮЩЕЙ СПОСОБНОСТИ ЛИСТА ШЕЛКОВИЦЫ

В нашем исследовании кормовых свойств листа шелковицы в процессе его развития [3], оказалось в некоторых случаях невозможным достигнуть за короткий срок необходимого для опыта насыщения листа водой. В дальнейшем выяснилось, что снятые с ветки и положенные или поставленные черешком в воду верхние листья давали прибавку в весе (в темноте) иногда даже после двух суток. Чем лист был ниже на ветке, тем он быстрее насыщался водой, часто за 1—2 часа, причем общий процент влаги, всосанной молодыми листьями, превышал в 2—3 раза процент всосанной старыми<sup>1</sup> (рис. 1). Из исследованных сортов: Акаки, Катанео и Татарика больше всех всасывал воду лист Татарика.

Интересно сопоставить различную скорость насыщения верхних и нижних листьев со скоростью их высыхания. Высыхание сильно возрастает для низко расположенных листьев, например, через 4 часа потеря воды в процентах: для верхних—27,65, для нижних—52,08 ([6], стр. 144).

Помимо этого было обнаружено, что в связи с возрастом меняется эластичность листа при хранении в спирту (денатурате). До 30 дней спиртованный лист остается мягким и гибким, с 30-дневного возраста он ста-




Рис. 1. Кривые насыщения водой листа Катанео (пунктирная линия) и Татарика (сплошная линия). Более высокие кривые принадлежат молодым листьям. По оси абсцисс — продолжительность опыта в часах, по оси ординат — число граммов воды на 100 г сухого веса.

<sup>1</sup> Величина насыщения в первые 2—3 часа в большинстве случаев больше у нижних листьев, что, повидимому, объясняется относительно меньшей их влажностью (во-дным дефицитом).



новится все более и более хрупким. Хрупкость листа, надо полагать, зависит от степени его обезвоживания спиртом. Степень хрупкости листа, нам кажется, имеет ту же основу, что и степень насыщения и высыхания листа. Полагаем, что эти различия в свойствах разновозрастного листа зависят от количества гидрофильных коллоидов этих листьев. Подтверждение этой мысли находим у Смирнова [5], который прямо говорит, что влагоемкость табачных листьев уменьшается с их возрастом и, что она определяется коллоидной частью их сухого вещества. То же уменьшение вододерживающей способности биокolloидов в связи со старением нашел Санде Бакхейзен у пшеницы [4].

Это возрастное изменение вододерживающей силы листа шелковицы обще не только растительному миру, но и животному, несущим в основе своей жизни одни и те же необратимые процессы старения коллоидов.

В то время как лист летнего разветвления становится ломким от спирта уже с 30-дневного возраста, весенний даже в 100-дневном возрасте не ломок у сортов Акаки и Татарика, у Аранчина становится ломким только с 70 дней. О более быстром развитии летнего листа можно также судить по изменению локализации и количества некоторых питательных веществ, характеризующих возрастное состояние листа [3]. То, что присуще 9-дневному летнему листу, является характерным для 20-дневного весеннего листа; 40-дневный лист летний соответствует 60-дневному весеннему и т. д. Это изменение созревания летнего (вышележащего на ветке) листа является частным случаем общей закономерности развития растения, обуславливающей различную реакцию нижней и верхней частей побега на внешнюю среду [1, 2, 4]; изменение это нельзя объяснить одним усилением внешних факторов от весны к лету. Сами по себе те или иные внешние воздействия могут однако усиливать или сглаживать специфические различия (см. у Кренке о влиянии дождей, засухи, обрезки и пр. [1]).

### В ы в о д ы

Скорость насыщения листа водой или, наоборот, быстрота его высыхания, также степень хрупкости спиртованного листа зависят от его возраста.

Дальнейшее уточнение методов определения вододерживающей способности листа (установление стандартных условий) при сравнительной простоте их может помочь возрастному контролю листа как в промышленном, так и в опытном шелководстве.

Академия Наук Грузинской ССР  
Тбилисский Ботанический Институт и  
Тбилисский Научно-исследовательский  
Институт Шелководства

(Поступило в редакцию 7.3.1942)



მ. მაკარევსკაია

ხნოვანობასთან დაკავშირებული თუთის ფოთლის წყლის შეკავების  
უნარიანობის ცვლილება

რეზუმე

წყლის გაჟღენთვის მიმართ სხვადასხვა ხნოვანობის ფოთლები სხვადასხვა უნარიანობით ხასიათდებიან (ჰიდროფილ კალოიდების რაოდენობა). ახალგაზრდა ფოთლები ზოგჯერ ორი დღე-ღამის განმავლობაშიც კი (სიბნელეში) მატულობენ წონაში, მაშინ როდესაც მობერებულნი, იმავე პირობებში, უკვე ორ საათში იჟღინთებიან. ამავე დროს ახალგაზრდა ფოთლის მიერ შეწოვილი სინოტივის საერთო პროცენტი 2—3 ჯერ აღემატება მობერებული ფოთლის მიერ შეწოვილ წყალს.

ფოთლის მობერებასთან ერთად წყლის დაკარგვის ხარისხი მატულობს სპირტის მოქმედებით.

წყლის დამჭერი ძალის განმსაზღვრელი მეთოდის შემდგომმა დაზუსტებამ (სტანდარტული პირობების დამყარება), მისი შედარებით სიმარტივის გამო, შესაძლებელია დაგვეხმაროს ფოთლის ხნოვანობის კონტროლის დადგენაში, რასაც მნიშვნელობა ექნება როგორც საწარმოო, ისე საცდელ მებარეშემოებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი და  
თბილისის სამეცნიერო-კვლევითი მებარეშემოების ინსტიტუტი

ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА—ციტირებული ლიტერატურა

1. Н. П. Кренке. Теория циклического старения и омоложения растений и практическое ее применение. Москва, 1940.
2. Т. Д. Лысенко. Теоретические основы яровизации. Москва, 1939.
3. Е. А. Макаревская. Возрастные изменения некоторых веществ листа шелковицы. Сообщения Акад. Наук Груз. ССР, т. III, № , 1942.
4. Д. А. Сабинин. Минеральное питание растений. Москва, 1940.
5. А. И. Смирнов и сотрудники. К характеристике возраста табачных листьев. Труды Гос. ин-та табаковед., 46, 1928.
6. А. И. Федоров. Шелковица и ее культура. Ташкент, 1932.



ღავეთ კოზახიძე

სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწოვილი სისხლის რაოდენობა და მისი შემადგენი ცვალეზალოზა

სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწოვილი სისხლის რაოდენობის შესახებ ცალკეული ცნობები არსებობს, მაგრამ ისინი არ არის აგებული სპეციალური კვლევის შედეგებზე და ამიტომ მხოლოდ მიახლოებითად უნდა ჩავთვალოთ. ჩვენ განვიზრახეთ ამ საკითხის უფრო დაწვრილებით შესწავლა, თვით წურბელას სხეულის წონითი მონაცემების მიხედვით. ასეთი კვლევის წარმოებისას ჰირუდოთერაპიის პრაქტიკული ხასიათის საკითხის გარკვევა გვქონდა მხედველობაში, სახელდობრ, გვინდოდა მკურნალობის დროს წურბელას საორიენტაციო რაოდენობის დადგენა თვით წურბელას სხეულის წონითი მონაცემების მიხედვით, როდესაც წინასწარ ცნობილია ავადმყოფისაგან გარკვეული რაოდენობის სისხლის გაღების საჭიროება. ვიმედოვნებთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება საკითხის ბიოლოგიური მხარეც, სამედიცინო წურბელას კვების ზოგად პრობლემასთან და შეწოვილი სისხლის წურბელას საქმლის მომწელებელ ტრაქტში ცვალეზადობასთან დაკავშირებით.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში მოცემულია სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწოვილი სისხლის რაოდენობის დასადგენად შესრულებული კვლევის შედეგები (ცხრილი 1), ხოლო მეორეში—შეწო-

ცხრილი 1

№№ სერიის	1 წურბელას წონა გ კვებამდე			1 წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწოვილი სისხლის წონა გ		
	მაქსიმუმი	საშუალო	მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო	მინიმუმი
I	0,2500	0,2040	0,1105	1,6205	0,8009	0,2000
II	0,4892	0,3517	0,2600	2,4102	1,3659	0,5000
III	0,6993	0,5678	0,5007	3,0603	1,8896	0,6104
IV	0,9306	0,8691	0,7794	4,5798	3,8070	2,0031
V	1,2000	1,0969	1,0091	6,8381	4,9270	3,0044
VI	1,4607	1,3853	1,2803	7,0100	5,5754	3,4194
VII	1,7006	1,6500	1,5102	7,6106	5,8800	3,9109
VIII	1,9294	1,8425	1,7556	8,3290	6,2190	4,0032
IX	2,8896	2,2339	2,0306	9,9900	6,8778	4,5498
X	5,2505	4,2520	3,4100	11,0595	8,0958	6,4107



ვილი სისხლის ფორმიანი ელემენტების სამედიცინო წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტში ცვალებადობა (ცხრ. 2)<sup>1</sup>.

როგორც 1-ლ ცხრილიდან ჩანს, სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწვეული სისხლის რაოდენობა ყველა მოყვანილი სერიის მიხედვით საგრძნობლად მერყეობს. ასეთი რაოდენობითი მერყეობა შემდეგი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ა) ცალკეულ, საცდელად აღებულ, ეგზ. წონით მონაცემების მაჩვენებლების არაერთგვაროვნობით; ბ) იმით, თუ რამდენად სრულად იყო ავსებული საჭმლით წურბელას საჭმლის მომწელებელი ტრაქტი წინა კვების დროს; გ) პერიოდით, რომელმაც განვლო წინა კვებისა და საცდელი კვების შორის; დ) ცალკეული, საცდელად აღებული, წურბელას საჭმლის მომწელებელი ტრაქტის ინდივიდუალური თავისებურებით; ე) წურბელას საცხოვრებელი არის ეკოლოგიური რეჟიმით წინა კვებისა და საცდელი კვების განმავლობაში და სხვ.

ერთი წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწვეული სისხლის რაოდენობა თვით საცდელ მშვიერ ეგზ. წონის პირდაპირ პროპორციულია. ასევე ნათელია საკითხი მშვიერი წურბელას მტაცებლური კვების შედარებითი დიდი ინტენსიურობისა, რაც წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას, საშუალოდ, თავისი სხეულის დონორი-ცხოველისაგან სამ-ოთხჯერ მეტი წონის სისხლის გამოწვევაში გამოიხატება.

საკვებად სამედიცინო წურბელა მკვებავი ცხოველის-დონორის სხეულზე სათანადო ადგილს (ყველაზე ნაზსა და შედარებით თმით დაუფარავს) ამოარჩევს. შემდეგ ემაგრება უკანა მისაწოვარით, სჭრის თავისი საკმაოდ ღონიერი პირის აპარატით დონორის კანს და მცირე დროის განმავლობაში გარეგნულად თითქმის უძრავ მდგომარეობაში რჩება. სწორედ ამ დროს ხდება დონორი-ცხოველის ქსოვილების გაჭრილი მიდამოს ჰირუდინიზება. როგორც კი გაიქვლენება გაჭრილი მიდამო ჰირუდინით და სისხლის შეუფერხებელი (შეუღდე-

<sup>1</sup> სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწვეული სისხლის რაოდენობის გამოსარკვევად ჩატარებულ იქნა ცდების 10 სერია. თითოეულ სერიისათვის საშუალო მონაცემები გამოყვანილია 30 ეგზ. შესწავლის საფუძველზე (სულ 300 ეგზ.). საცდელი წურბლების მთელი რაოდენობა რამდენიმე დონორის სისხლით გამოიკვება. ვსარგებლობდით საქართველოს წყალსატევებში მოთავსებულ სამედიცინო წურბელათი. საცდელი წურბლების კვება ოთახის ჩვეულებრივი ტემპერატურის პირობებში (15—25°) და წლის ყველა სეზონში ვაწარმოეთ. ყველა საცდელი ეგზ. აწონას როგორც კვებამდე, ასევე კვების შემდეგ ანალიზურ სასწორზე 0,0001 გ სიზუსტის დაცვით ვაზდენდით.

შეწოვილი სისხლის ფორმიანი ელემენტების სამედიცინო წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტში ცვალებადობის შესწავლა, როგორც თვით ბაჰია-დონორის სისხლის ანალიზის, ასევე მისგან გამოწვეული სისხლის (წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტიდან უკანვე პერიოდულად გამონთხეული სისხლის სახით) ანალიზის შედეგად მოვახდინეთ, დაწყებული პირველ დღიდან ყოველ მე-6 დღეს. წურბელას საცდელი ეგზ. კვებამდე თითქმის ერთნაირი წონის (0,2000—0,2400 გრ) იყვნენ და გამოკვებიდან ცდის დასრულებამდე წყლის ერთნაირ ტემპერატურის (20°) გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

სამუშაოს პირველი ნაწილის შესრულებაში დაწმარება გამიწია ზოონისტიტუტის უფრო ლაბორანტმა თ. ლევიძემ, ხოლო მეორე ნაწილის—ამავე ინსტიტუტის მეცნ. თანამშ. ე. კვინიკაძემ. ორივე თანამშრომელს გულითად მადლობას მოვახსენებ.



ბელი) ამოწოვა შესაძლებელი გახდება, წურბელა ჩვეულებრივ მთელი სხეულით იწეებს რითმულ, ტალღისებურ მოძრაობას, სისხლის გადასხმას დონორის ორგანიზმიდან თავის საჭმლის მომწელებელ ტრაქტში (თუმცა ეს ყოველთვის ერთგვარი რითმითა და ინტენსიურობით არ ხდება). სისხლის გამოწოვის პერიოდი სრულიად სხვადასხვა დროით შემოიფარგლება, რაც თვით წურბელას ხნოვანების, განვითარების სიძლიერისა და დამწეულობის ხარისხს გარდა, დონორიცხოველის ორგანიზმში სისხლის სიჭარბეზე, სისხლის დებეტის ხარისხზე და გარემოს ტემპერატურაზე არის დამოკიდებული.

მაძლარი წურბელა მშვიდთან შედარებით ბევრად უფრო მძიმეა, რაც მისი მოძრაობის ნაკლებ აქტიურობას აპირობებს. მას შემდეგ, რაც წურბელა უზრუნველყოფს თავის თავს საკვების სათანადო მარაგით, ის დიდი ხნის განმავლობაში შედარებით პასიურ ცხოვრებას ეწევა, ნელა მოძრაობს, თითქმის სრულებით აღარ ცურავს და წყალსატევის ფსკერზე ცხოვრობს. ამიტომ გასაგებია, რომ სარეწაო მიზნისათვის წარმოებული მასობრივი ჭერის დროს ჩვეულებრივ მოპოვებული წურბელა თითქმის ყოველთვის მშვიდია და სუფთა წყალში სათანადო ექსპოზიციით შენახვის (თუნდაც 10—20 დღის) შემდეგ ვარგისია ჰირუდოთერაპიაში გამოსაყენებლად.

წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტში მოხვედრილი დონორის სისხლის-ფორმიანი ელემენტების დროში ცვალებადობა მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

სისხლის-ფორმიანი ელემენტების დასახელება	ბაჭია-დონორის სისხლის შემადგენლობა	სისხლის-ფორმიანი ელემენტების ცვალებადობა წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტში დღეებით						
		1	6	11	16	21	26	31
ერიტროციტები . . .	4.600.000	2.090.000	3.340.000	1.070.000	500.000	310.000	220.000	130.000
ლეიკოციტები . . . . .	8.000	6.000	10.000	8.000	2.600	2.400	1.800	1.400
თეთრი სისხლი . . . . .	ნორმალური	ძლიერ დეგრადირებული	მ თ ღ ი ა ნ ა დ დ ე გ რ ა დ ი რ ე ბ უ ლ ი					

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ბაჭია-დონორის სისხლი, მოხვედრილი სამედიცინო წურბელას საჭმლის მომწელებელ ტრაქტში, პირველ დღესვე განიცდის ძლიერ ცვალებადობას, რაც ერიტროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებასა და თეთრი სისხლის ძლიერ დეგრადირებაში გამოიხატა. მე-6 დღეს ერიტროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობა შედარებით გადიდა სისხლის კონსისტენციის ერთდროულად შესქელებით, რაც, ალბათ, წურბელას საჭმლის მომწელებელი ტრაქტის კედლების მიერ საკვებად შეწოვილ სისხლში არსებული წყლის შედარებით ადრე ათვისებასთან არის დაკავშირებული. ჰემოლიზებული სისხლის ერიტროციტების კონტური უკვე გაურკვეველი გახდა; ლეიკოციტებიდან კი პიკენტური და ნეკროტული ბირთვები დარჩნენ,



ზოგიერთ უჯრედში მარცვლოვანობა შეინახა, მაგრამ პროტოპლაზმა არ იძლეოდა ნათელ კონტურს. აღნიშნულ იქნა დეტრიტებისა და ბაქტერიული სხეულაკების სიჭარბე. მე-11 დღეს ერთროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობა კვლავ შემცირდა. ჰემოლიზებულ სისხლში ერთროციტების კონტური და თეთრი სისხლის ელემენტების დიფერენცირება თითქმის სრულებით შეუძლებელი გახდა. ნეიტროფილებიდან მხოლოდ ბირთვები დარჩა, პროტოპლაზმა სრულებით აღარ იყო. შემჩნეულ იქნა ბაქტერიული სხეულაკების სიჭარბე, რომლებიც ზოგიერთ ადგილას დაჯგუფებებსაც კი ჰქმნიდნენ. მე-16 დღეს ბაჭია-დონორის სისხლის სამედიცინო წურბელას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ცვალებადობა თითქმის ისეთივე სურათით აღინიშნა, როგორც მე-11 დღეს, მხოლოდ ერთროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. შემდეგში, მე-21 დღეს, ფიქსირებულია: ერთროციტებმა დაჰკარგეს ეოზინით შედგების უნარი, ლეიკოციტებს შორის უმრავლესობა ძლიერ გამოვლინებული ნეკრობიოზით იყვნენ, მაგრამ მარცვლოვანობასთან ერთად შეიძლებოდა თითოეული ეოზინოფილებისა და ბაზოფილების გარჩევა. შეიძლებოდა სპეციფიკური უჯრედებისა და სეგმენტირებული ბირთვების გამოცნობა. ლიმფოციტები ძნელი გამოსარჩევი გახდა ნეკრობიოზის გამო, რადგან პროტოპლაზმა აღარ იყო. მე-26 დღეს თითოეული ერთროციტები სრულებით აღარ ჩანდნენ, მაგრამ კიდევ შეიძლებოდა გარჩევა ცალკეული ლეიკოციტებისა, რომლებიც ნეკრობიოზის სტადიაში იმყოფებოდნენ. იშვიათად მოსჩანდნენ ეოზინოფილები ჰიკენტური ბირთვებით და ბაზოფილები, რომლებიც დიფერენცირებული იყვნენ მარცვლოვანობის მიხედვით, სპეციფიკური უჯრედების ნაწილმა კიდევ შეინახა ბირთვების კონფიგურაცია და მარცვლოვანობა. მონოციტების და ლიმფოციტების დიფერენცირება შეუძლებელი იყო. მე-31 დღეს ერთროციტების რაოდენობამ დაჰკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა, ხოლო თეთრი სისხლი ნეკრობიოზის სტადიაში იყო, გვხვდებოდა მხოლოდ თითოეული ეოზინოფილები და სპეციფიკური უჯრედების (ნეიტროფილების) ბირთვები. ასეთი იყო ბაჭია-დონორის სისხლის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში თანდათანობითი ცვლილება.

მაშასადამე, როგორც დონორი-ცხოველის სისხლის სამედიცინო წურბელას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრის შემდეგ წარმოებულმა სისტემატურმა ანალიზებმა ცხადჰყო, სისხლი ჰირუდინის მოქმედების გამო თუმცა არ დედება, მაგრამ ძირფესვიან შედარებით შენელებულ ცვლილებას განიცდის. ვფიქრობთ, ეს მოვლენა სისხლის ჩვეულებრივ დაკონსერვებად არ შეიძლება იყოს წოდებული. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურული ცნობები სისხლის დინამიკის მსვლელობაზე სისწორეს მოკლებულია. აქ მოყვანილი შედეგები ცხადჰყოფენ, რომ სამედიცინო წურბელა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში იკვებება სისხლით, ამ დროის შემდეგ კი წურბელა მხოლოდ სისხლის მთლიანად დაშლის პროდუქტებით სარგებლობს. რადგან სამედიცინო წურბელა ცივისისხლიანი ცხოველია, მისი სხეულის ტემპერატურა და მოძრაობის აქტიურობა დაპირობებულია გარემოს (წყალსატევის) ტემპერატურით, ამიტომ ალბათ, მისი საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხ-



ვედრილი სისხლის შენახვის ხანგრძლივობა, ნაწილობრივ, ადგილსამყოფელის ტემპერატურულ რეჟიმთან უნდა იყოს დაკავშირებული.

წურბელას მიერ სისხლის გამოწოვისა და საჭმლის მომნელებელ ტრაქტში შენახვის აქ აღნიშნული სპეციფიკა წურბლისათვის დამახასიათებელია განვითარების ყველა სტადიაში და, ალბათ, ამ სახეობის შედარებით მეტ პლასტიკურობას უზრუნველყოფს. წურბელასა და მისი საკვების ასეთი ურთიერთ დამოკიდებულობა ამ სახეობის მეტ ეკოლოგიურ გამძლეობას აპირობებს.

ჩატარებულ გამოკვლევებათა საფუძველზე შემდეგი ზოგადი, მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობის დასკვნები შეიძლება იქნეს დასაბუთებული:

1. მშვიერი სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას მკვებავი ცხოველის-დონორის სხეულიდან გამოწოვილი სისხლის წონითი რაოდენობა თვით წურბელას მთელი სხეულის წონით მონაცემების პირდაპირ პროპორციულია: რამდენადაც მეტია მშვიერი წურბელას წონა, იმდენად მეტია მის მიერ გამოწოვილი სისხლის წონითი რაოდენობა.

2. პირუდოთერაპიის დროს მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო წურბელას პრაქტიკულად საჭირო რაოდენობის განსასაზღვრავად შეიძლება ვისარგებლოთ 1-ლ ცხრილში მოყვანილი რიცხვებით. სახელდობრ, ერთი წურბელას 0,2040 გ წონისას საშუალოდ შეუძლია გამოსწოვოს 0,8009 გ სისხლი; 0,3517 გ წურბელას—1,3659 გ სისხლი; 0,5678 გ წურბელას—1,8869 გ სისხლი; 0,8692 გ წურბელას—3,8070 სისხლი; 1,0969 გ წურბელას—4,9270 გ სისხლი; 1,0969 გ წურბელას—4,9270 გ სისხლი; 1,3853 გ წურბელას—5,5754 გ სისხლი; 1,6500 გ წურბელას—5,8800 გ სისხლი; 1,8425 გ წურბელას—6,2190 გ სისხლი; 2,2339 გ წურბელას—6,8778 გ სისხლი; 4,2520 გ წურბელას—8,0958 გ სისხლი.

3. მშვიერი სამედიცინო წურბელას მიერ დონორი-ცხოველის ორგანიზმიდან გამოწოვილი სისხლის ინტენსივობა თუმცა სხვადასხვა ხასიათისა არის, მაგრამ, საშუალოდ, მშვიერ წურბელას თავის სხეულის წონის 3—4-ჯერ მეტი წონის სისხლი შეუძლია მოათავსოს თავის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.

4. მკვებავი ცხოველის-დონორის სისხლმა, მოხვედრილმა სამედიცინო წურბელას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, გამოავლინა შედარებით მეტი გამძლეობა, რადგან მასზე ნაწილობრივ პირუდინის მოქმედება არ იყო გამორიცხული; საერთოდ კი სისხლი შედარებით ძლიერ და ნელ ცვალებადობას განიცდის. სისხლის ძირითადი ფორმიანი ელემენტები იშლებიან ერთი თვის განმავლობაში (წყლის 20°-ის პირობებში), ამ დროის შემდეგ კი წურბელა სისხლის დაშლისას დარჩენილი ნარჩენებით საზრდოობს. სისხლის დაშლის ინტენსიურობა, მისი წურბელას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში შენახვის ხანგრძლივობა, ალბათ, დამოკიდებულია როგორც შინაგან, ისევე გარეგანი ფაქტორების გარკვეულ კომბინაციაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 21.12.1942)



Д. Н. КОБАХИДЗЕ

## КОЛИЧЕСТВО КРОВИ, ВЫСОСАННОЙ МЕДИЦИНСКОЙ ПИЯВКОЙ ПРИ ОДНОКРАТНОМ ПИТАНИИ И ЕЕ ДАЛЬНЕЙШЕЕ ИЗМЕНЕНИЕ

Резюме

На основании изучения питания медицинской пиявки в 10-ти сериях (в каждой серии по 30 экз. пиявок, всего 300 экз.), выведены общие заключения относительно количества крови, высосанной голодной пиявкой (подробно см. табл. 1). В работе затронут также вопрос об изменениях основных форменных элементов крови в пищеварительном тракте пиявок с момента кормления их на питающем животном-доноре на каждый шестой день (цифровые данные см. табл. 2).

На основании проведенного исследования получают следующие выводы, которые нами выдвигаются пока лишь в порядке ориентировочном.

1. Весовое количество крови, высосанной голодной медицинской пиявкой из организма питающего животного-донора при однократном питании, прямо пропорционально весовым показателям самой пиявки. Чем больше по весу голодная пиявка, тем больше крови она высасывает.

2. Для определения практически требуемого количества медицинской пиявки при лечении в гирудотерапии можно пользоваться данными, приведенными в таблице 1. В частности, одна пиявка 0,2040 г веса в среднем может высосать 0,8009 г крови; 0,3517 г пиявка—1,3659 г крови; 0,5678 г пиявка—1,8896 г крови; 0,8691 г пиявка—3,8070 г крови; 1,0969 г пиявка—4,9270 г крови; 1,3853 г пиявка—5,5754 г крови; 1,6500 г пиявка—5,8800 г крови; 1,8425 г пиявка—6,2190 г крови; 2,2339 г пиявка—6,8778 г крови; 4,2520 г пиявка—8,0858 г крови.

3. Количество высосанной голодной пиявкой крови из организма животного-донора разное, но, в среднем, голодная пиявка может высосать и разместить в своем пищеварительном тракте количество крови в 3—4 раза превышающее ее вес.

4. Кровь животного-донора, попавшая в пищеварительный тракт пиявки, показала сравнительно большую устойчивость, так как частичное влияние гирудина не было исключено. Вообще же кровь подвергается значительным, но сравнительно медленным, изменениям. Основные форменные элементы крови полностью распадаются в продолжение одного месяца (при температуре воды 20°), после этого же срока пиявки питаются распавшимися остатками крови. Интенсивность распада, длительность сохранения крови в пищеварительном тракте пиявки зависят, очевидно, от определенной комбинации внутренних и внешних факторов.



30. ვანვიძია

დრო-კილოთა წარმოების პრინციპებისათვის უღურ ენაში

ცნობილია, რომ უღური ზმნა წარმოგვიდგენს პირის ფორმებს ([1], გვ. 25, § 99; [3], გვ. 51—54) მაშინ, როცა მთის კავკასიურ ენათა უმრავლესობაში ჩვეულებრივია ზმნის ცვალებადობა კლას-კატეგორიის მიხედვით, ანდა ზმნა სრულიად უცვლელია. იმავე დროს საყურადღებოა, რომ უღური ზმნა ამჟღავნებს დრო-კილოთა ფუძეების წარმოების რამდენადმე ისეთსავე პრინციპს, როგორიც დამახასიათებელია ქართველური ენების ზმნისათვის. სათანადო ლიტერატურაში მითითებულია და უღურში მართლაც დასტურდება დრო-კილოთა თითხმეტი ფორმა ([1], გვ. 25, § 98; [2], გვ. 52—63). ფუძის აგებულების მიხედვით ეს დრო-კილოები ჰქმნიან სამ ჯგუფს; თითოეული ჯგუფისათვის განკუთვნილია საკუთარი ფუძე იმგვარადვე, როგორც ეს გვაქვს ქართველურ ენებში ([4], გვ. 137 შმდ.; [5], 72 შმდ.; [6], გვ. 130 შმდ.). ოღონდ ვითარება ქართველურ ენებში გაცილებით უფრო რთულია და ფუძის აგებულების საკითხიც სხვაგვარად ისმის.

ამგვარი ვითარება ნათელია შემდეგი ტაბულით. ტაბულაში უღური ზმნის ყველა დრო-კილო განაწილებულია სამი ჯგუფის მიხედვით.

«Infin.» ქ ა რ ხ-ე ს-უ ნ—ცხოვრება.

A. დრო-კილოთა I ჯგუფი.

1. აწმყო<sup>(1)</sup> (das Praesens, настоящее) ქარ-ზუ-ხ-ს-ა—ნიშანი -ა.
2. ნაწყო უსრული (das Imperfekt, прошедшее несовершенное) ქარ-ზუ-ხ-ს-ა-ე—ნიშანი -ე -ი.

B. დრო-კილოთა II ჯგუფი.

3. აორისტი I (der Aorist, прошедшее совершенное I) ქარ-ზუ-ხ-ი—ნიშანი ი.

<sup>(1)</sup> დრო-კილოთა კვალიფიკაცია და ტერმინოლოგია რამდენადმე პირობითია; ვეყრდნობით ქართული ენის ვითარებას და მისი მიხედვით განვსაზღვრავთ დრო-კილოთა ფუნქციას (მნიშვნელობას). ფრჩხილებში მოთავსებულია ა. შიფერისა [1] და შემდგომ ა. ღირის [2] ტერმინები. ფორმა მოცემულია პირველ პირში (პირის ნიშანი -ზუ||-ზ).



4. ნაწილაკოვანი კავშირებითი (das un-  
schriebene Praesens des Conjun-  
ctivs, II настоящее врем. сослага-  
тельн. н.) ქარ-ყა-ზ-ხ-ი—ნიშანი ნაწილაკი ყა.
5. აორისტი II (das Perfekt, прошед-  
шее совершенное II) ქარ-ზუ-ხ-ე—ნიშანი -ე.
6. ნამყო წინარეწარსული (Plusquam-  
perfektum, давнопрошедшее вр.) ქარ-ზუ-ხ-ე-ე—ნიშანი -ე ← -ი.
7. პირობით-ნატვრითი ნაწილ. (Condi-  
tionalis, 3-ზე условно-желательное) გი-ზ-ქარ-ხ-ე-ე—ნიშანი ნაწილაკი გი-
8. კავშირებითი I (das Praesens des  
Conjunctivs, I настоящее  
время сослагат. н.) ქარ-ხ-ა-ზ—ნიშანი -ა.
9. კავშირებითი II (das Imperfekt des  
Conjunctivs, прошедшее сослага-  
тельное н.) ქარ-ხ-ა-ზუ-ე—ნიშანი -ე ← -ი.
10. ბრძანებითი კილო (Imperativ, по-  
велятельн. накл.): 2 პ. ქარ-ხ-ა (იმეორებს კავშირ. I-ს)
11. მყოფადი I (das bestimmte Futurum,  
будущее вр. I) ქარ-ზუ-ხ-ო—ნიშანი -ო.
12. პირობით-ნატვრითი I (der erste  
Optativ, условно-желательное I) ქარ-ზუ-ხ-ო-ე—ნიშანი -ე ← -ი.

### С. დრო-კილოთა III ჯგუფი.

13. მყოფადი II (das unbestimmte Fu-  
turum, будущее вр. II) ქარ-ხ-ალ-ზუ—იწარმოება აწმყო-მყო-  
ფადის მიმღობით, ნიშანი -ალ-
14. პირობით-ნატვრითი II (der II Opta-  
tiv, условно-желательное II) ქარ-ხ-ალ-ზუ-ე—ნიშანი -ე ← -ი.

თუ გავითვალისწინებთ ტაბულაში წარმოდგენილი დრო-კილოების ფორ-  
მებს და მათ წარმოებას, შესაძლებელია აღინიშნოს შემდეგი ზოგადი ნიშნები  
ულური ენის ზმნის უღვლილების სისტემისა.

1. დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია  
ზმნის გავრცობილი ფუძე: ქარ-ხ-ეხ-; გასავრცობ ელემენტს წარმოადგენს -ეხ-  
სუფიქსი, რომელიც საყურადღებო მონაცემია სხვა კავკასიურ ენათა შესატყვის  
ფორმანტებთან შედარების თვალსაზრისით [8].

დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებში ფუძე წარმოდგენილია ამ -ეხ- ელ-  
მენტის გარეშე: ქარ-ხ-. III ჯგუფის დრო-კილოების ჯგუფის ფუძედ კი გვევ-



ლინება აწმყო-მყოფადის მიმღეობა, რომლის საწარმოებელი ელემენტი ა-ლ სუფიქსი: ქარ-ხ-ალ—მცხოვრები.

ფუძის აგების ასეთი პრინციპი, როგორც აღვნიშნეთ, რამდენადმე მსგავსია ქართველურ ენებში დადასტურებული პრინციპისა. ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა ფუძის გასავრცობი -ეს ელემენტი, რომელიც თავისი ფუნქციით თითქოს ეთანაბრება, მაგალითად, ქართული ზმნის თემის ნიშნებს ([9], გვ. 231—234). უღურ ენაში, ცხადია, მარტივი ვითარება გვაქვს ქართულთან შედარებით, მაგრამ ფუძის წარმოება ერთგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი.

თავისებურია III ჯგუფის ფორმათა წარმოება, რაც ცალკე გარკვევას მოითხოვს. უნდა მოვიგონოთ აქვე, რომ ქართულშიც III ჯგუფს თავისებური წარმოება ახასიათებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დრო-კილოთა II ჯგუფი, რომელიც ყველაზე მარტივ ფუძეს შეიცავს, ყველაზე მრავალრიცხოვანია, რაც, უნდა ვიფიქროთ, იმის დამადასტურებელია, რომ ეს ჯგუფი პირველადია, სხვა დრო-კილოები კი უფრო ახალი წარმოშობისაა. ამ მხრივ უღური ენაც გვიჩვენებს ქართველური ენების ანალოგიურ ვითარებას.

2. თითოეულ დრო-კილოს აქვს თავისი საკუთარი მორფოლოგიური ნიშანი, ყველგან სუფიქსი და ყველგან ხმოვანი. იმავე დროს ზოგიერთი დრო-კილოს ფორმას ახასიათებს მრჩობლი წარმოება: ფორმა ემყარება სხვა დროს ან კილოს მთლიან ფორმას (არა ფუძეს). ამ შემთხვევაში დასტურდება ზმნის ფორმათა წარმოების თითქოს ისეთივე პრინციპი, როგორიც დამახასიათებელია სახელის ბრუნვის ფორმათა წარმოებისას თითქმის ყველა კავკასიურ ენაში. ერთი და იგივე ფორმანტი მეორდება სხვადასხვა დრო-კილოს ფორმაში, ხოლო განსხვავებას ამყარებს ამოსავალი ფუძე ან ფორმა.

დრო-კილოთა საწარმოებელ ელემენტებად გამოიყოფა:

სუფიქსი -ა: აწმყოში და კავშირებით I-ში (განიჩევიან ფუძის შედგენილობით).

„ -ი: I აორისტში (დამოუკიდებლად) და სხვა ფორმაზე დართვით: ნამყო უსრულში, ნამყო წინარეწარსულში, კავშირებით II-ში, პირობით-ნატვრით I-ში, პირობით-ნატვრით II-ში.

„ -ე: II აორისტში.

„ -ო: I მყოფადში.

თავისებური წარმოება გვაქვს, ერთი მხრით, ნაწილაკოვან კავშირებითსა [7] და ნაწილაკოვან პირობით-ნატვრითში: ამ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია ნაწილაკები ყა და გი; მეორე მხრით, მყოფადი II იწარმოება მიმღეობის ფორმიდან ოდენ პირის ნიშნის დართვით (მორფოლოგიური ელემენტი არ ერთვის): სავარაუდებელია, რომ აქ ჩამოცილებულია მეშველი ზმნა ბუ—(„არს“), რომელიც დეფექტური და თავისებური ზმნაა ([2], გვ. 79): ქარ-ხალ-ზუ ← \*ქარხალ-ზუ-ბუ ← \*ქარხალ+ბუ-ზუ—მცხოვრები ვარა და ა. შ.



3. პირის ნიშნებად წარმოდგენილი ფორმანტები გენეტურად უკავშირდებიან სათანადო ნაცვალსახელებს ([3], გვ. 51—54). საყურადღებოა, რომ პირის ნიშნის ადგილმდებარეობა არაა მკვიდრი: იგი შეიძლება მოგვევლინოს სუფიქსად, ინფიქსად და შეიძლება ენკლიტიკურად მიერთოს ზმნის ფუძის წინ მოთავსებულ სიტყვას. ზოგჯერ კი პირის ნიშანი სრულებით არა გვაქვს; ასეა, მაგალითად, კითხვით ფორმებში ([2], გვ. 51). ასეთი ვითარება უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ უღღურში ჩვენ ვხვდებით ენობრივი განვითარების ისეთ საფეხურს, როცა უღვლილების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი სავსებით არაა დასრულებული.

ამგვარად წარმოგვიდგება უღღური ზმნის დრო-კილოთა წარმოების ძირითადი პრინციპები. სხვა ნიშნებზე აქ არ შევჩერდებით. კერძოდ, ცალკე არ განვიხილავთ ნიჯური კილოს თავისებურებებს, რამდენადაც დრო-კილოთა წარმოების ზემოთ წარმოდგენილი პრინციპები საერთოა ორივე კილოსათვის<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ უღღური ზმნის ზოგი დრო-კილოს საწარმოებელი ელემენტი ემთხვევა ქართული ენის ზოგ მორფოლოგიურ ელემენტს. სახელდობრ, შესაძლებელია შემდეგ ფორმანტთა შეპირისპირება:

უღღურში:		ქართულში:	
1. აორისტი I-ის სუფიქსი	-ი	ნამყო წყვეტილის	-ი;
2. აორისტი II-ის სუფიქსი	-ე	ნამყო წყვეტილის	-ე;
3. კავშირებითი I-ის სუფიქსი	-ა	კავშირებითის	-ა;
4. ნაწილაკოვანი კავშირებითი (წარმოების პრინციპით)		მცა-ნაწილაკიანი კავშირებითი [7].	

ამ მონაცემთა ურთიერთობის გათვალისწინება და აღნიშნული მორფოლოგიური ელემენტების გენეზისის გარკვევა საყურადღებოა საერთოდ კავკასიურენათა ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.2.1943)

<sup>1</sup> არ ვეხებით აგრეთვე სხვადასხვა ავტორის ნაშრომში წარმოდგენილ ვითარებას დრო-კილოთა წარმოების შესახებ (მაგალითად, ისეთ საყურადღებო ნაკვლევს, როგორიცაა G. Dumézil-ის Recherches comparatives sur le verbe caucasien. Paris 1933). მათი კრიტიკული განხილვა ცალკე იქნება მოცემული.



ВЛ. ПАНЧВИДЗЕ

О ПРИНЦИПАХ ОБРАЗОВАНИЯ ВРЕМЕН И НАКЛОНЕНИЙ  
В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Все формы времен и наклонений удинского глагола распределяются по трем группам, при этом в каждой группе используется самостоятельная основа: в *первой* группе—основа с наращенным элементом -**ეს** -es, во *второй*—усеченная основа (без элемента -**ეს** -es), в третьей—причастье настоящего—будущего времени.

Имеем (приводятся формы 1 лица):

«Infin.» ჯარ-ბ-ე ს-უ ბ kar-x-es-un — 'жить'.

А. I группа:

1. Настоящее время

изъявительн. наклон.: ჯარ-ზუ-ბ-ს-ა kar-zu-x-s-a—окончание -ა.

2. Прошедшее несовершенное: ჯარ-ზუ-ბ-ს-ა-ე kar-zu-x-s-a-j—окончание -ე — -ო.

В. II группа:

3. Аорист I: ჯარ-ზუ-ბ-ი kar-zu-x-i—окончание -ი.

4. Сослагательное с частицей: ჯარ-ყა-ზ-ხ-ი kar-qa-z-x-i—частица ყა [7].

5. Аорист II: ჯარ-ზუ-ბ-ე kar-zu-x-e—окончание -ე.

6. Давнопрошедшее: ჯარ-ზუ-ბ-ე-ა kar-zu-b-e-j—окончание -ე — -ო.

7. Условно-желательное с частицей: გი-ზ-ქარ-ბ-ე-ე gi-z-kar-b-e-j, частица გი.

8. Сослагательное I: ჯარ-ბ-ა-ზ kar-x-a-z—окончание -ა.

9. Сослагательное II: ჯარ-ბ-ა-ზუ-ე kar-x-a-zu-j—окончание -ე — -ო.

10. Повелительное наклонение (2 л.): ჯარ-ბ-ა! kar-x-a!—(повторяет сослаг. I без личных показателей).

11. Будущее II: ჯარ-ზუ-ბ-ო karzu-x-o—окончание -ო.

12. Услов.-желательное I: ჯარ-ზუ-ბ-ო-ე kar-zu-x-o-j—окончание -ე — -ო.



## С. III группа:

13. Будущее II: ჰარ-ბ-აღ-ზეუ kar-x-al-zu—(на основе причастия: окончание -აღ).

14. Условно-желательное II: ჰარ-ბ-აღ-ზეუ-ე kar-x-al-zu-j—оконч. -ე ← -ო.

2. Каждая отдельная форма времени и наклонения имеет свой характерный формант (-ა, -ო, -ე, -ი, -თ). Исключение составляет сослагательное с частицей и условно-желательное с частицей. При этом в образовании некоторых форм проявляется принцип, который засвидетельствован при образовании падежных форм в кавказских языках: для образования формы используется целиком другая форма (времени или наклонения), а не основа.

3. Форманты, представленные в качестве личных показателей, генетически восходят к личным местоимениям ([10], стр. 162 сл.). При этом местонахождение личных показателей не фиксировано окончательно: они могут быть суффиксами, префиксами, или же энклитически присовокуплены к предшествующему слову. В некоторых случаях личные показатели не употребляются (например, в вопросительных предложениях). Все эти данные указывают на то, что в удинском засвидетельствована ступень языкового развития, когда система спряжения находится в процессе оформления.

4. Некоторые морфологические элементы (форманты времен и наклонений) генетически увязываются с формантами времен и наклонений в грузинском языке; таковы:

## В удинском:

1. Суффикс -ო -i в аористе I:
2. " -ი -e в аористе II:
3. " -ა -a в сослагательном I:
4. Сослагат. с частицей (по принципу образования).

## В грузинском:

- ო -i в аористе;
- ი -e в аористе;
- ა -a в сослагательном;
- сослагательное с частицей ზღოთსა [7].

Академия Наук Грузинской ССР  
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра

Тбилиси



ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. A. Schiefner. Versuch über die Sprache der Uden. S.-Petersburg, 1863.
2. А. Дирр. Грамматика удинского языка. Сб. МОМПК, XXXIII, Тбилиси, 1903.
3. ვლ. ფანჯვიძე. მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.
4. ა. შანიძე. ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია. ტფილისი, 1936.
5. ვ. თოფურია. სვანური ენა, I. ზმნა. ტფილისი, 1931.
6. არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი, 1939.
7. ვლ. ფანჯვიძე. ნაწილაკოვანი კავშირებითი უღურ ენაში. საქართ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1941, № 8.
8. ვლ. ფანჯვიძე. «ინფინიტივის» ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უღურ ენაში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1942, №№ 2, 4.
9. არნ. ჩიქობავა. ვრგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.
10. N. Troubetzkoy. Notes sur les désinences du verbe dans les langues Tchetcheno-lesghiennes. Bulletin de la Société de Linguistique de Paris. T. XXIX, f. 3. Paris, 1929.





Ответственный редактор акад. Н. И. Мухелишвили

---

Подписана к печати последняя форма 24.4.1943. Объем 5,5 печ. лист. Авторск. лист. 7,15.  
Колич. тип. зн. в 1 печ. листе 52.000. УЭ 1890. Заказ № 236. Тираж 600 экз.

---

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, улица А. Церетели, 7.



გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

ი. კანაძე და ნ. კანდელაკი. ცხანარის სინკლინის მეზოზოური ნალექების სტრატოგრაფიისათვის . . . . . 133

\*И. Кахадзе и Н. Канделаки. К стратиграфии мезозойских отложений Цханарской синклинали . . . . . 139

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

Д. И. Сосновский. Опыт хронологизации основных фитоценозов Восточной Грузии . . . . . 161

\* დ. სოსნოვსკი. აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ფიტოცენოზთა ქრონოლოგიზაციის ცდა . . . . . 168

Е. А. Макаревская. Возрастное изменение водоудерживающей способности листа шелковицы . . . . . 169

\*ე. მაკარევსკაია. ხნოვანობასთან დაკავშირებული თუთის ფოთლის წყლის შეკავების უნარიანობის ცვლილება . . . . . 171

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

დავით კობახიძე. სამედიცინო წურბელას მიერ ერთჯერ კვებისას გამოწვეული სისხლის რაოდენობა და მისი შემდეგი ცვლებადობა . . . . . 173

\*Д. Н. Кобахидзе. Количество крови, высосанной медицинской пиявкой при однократном питании и ее дальнейшее изменение . . . . . 178

ენათმეცნიერება—ЯЗЫКОВЕДЕНИЕ—LINGUISTICS

ვლ. ფანჩვიძე. დრო-კილოთა წარმოების პრინციპებისათვის უდურ ენაში . . . . . 179

\*Вл. Панчвидзе. О принципах образования времен и наклонений в удинском языке . . . . . 183



ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях» помещаются статьи научных работников Академии Наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение наиболее существенных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит Редакционная коллегия, избираемая Общим Собранием Академии Наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно (в конце каждого месяца), за исключением июля и августа, выпусками около 6 печ. листов каждый. Совокупность выпусков за год (всего 10 выпусков) составляет один том.

4. Статьи печатаются на одном из следующих языков: грузинском, русском, французском, английском, немецком. Все статьи, кроме статей на грузинском языке, обязательно снабжаются резюме на грузинском языке. Статьи на грузинском языке обязательно снабжаются резюме на русском языке. Статьи могут быть также снабжены резюме на любом из вышеназванных языков, по желанию автора.

5. Размер статьи, включая резюме и иллюстрации, не должен превышать половины авторского листа (20 тыс. печ. знаков). Соотношение размеров основного текста и резюме определяется самим автором. В частности, резюме может быть заменено полным переводом, при условии, чтобы общий размер статьи и перевода не превышал указанной выше нормы.

6. Разделение статей на части для напечатания в различных выпусках не допускается.

7. Статьи, предназначенные к напечатанию в «Сообщениях», направляются в Редакцию, которая для авторов, являющихся действительными членами Академии Наук, лишь устанавливает очередность публикации. Статьи же остальных авторов, как правило, передаются Редколлегией для отзыва одному из действительных членов Академии Наук или же какому-либо другому специалисту по данной области, после чего вопрос о напечатании статьи решается Редколлекцией.

8. Статьи должны представляться автором в совершенно готовом для печати виде, вместе с резюме и иллюстрациями. Формулы должны быть четко вписаны от руки. Никакие исправления и добавления после принятия статьи к печати не допускаются.

9. Данные о цитируемой литературе должны быть возможно полными: необходимо указывать название журнала, номер серии, тома, выпуска, год издания, полное заглавие статьи; если цитируется книга, то необходимо указать полное заглавие, год и место издания.

10. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях, следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

11. В конце статьи и резюме авторы должны указывать, на соответствующих языках, местонахождение и название учреждения, в котором проведена работа. Статья датируется днем поступления в редакцию.

12. Автору предоставляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (обычно не более суток). В случае невозвращения корректуры к сроку, редакция вправе печатать статью без авторской визы.

13. Авторы получают бесплатно 50 отисков своей статьи и выпуск «Сообщений», содержащий эту статью.

Адрес редакции: Тбилиси, ул. Дзержинского, 8.